



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
განკარგულება №107



2013 წლის 23 ივლისი  
ქალაქი ხაშური

„საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის N55 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან 2012 წელში აუთვისებელი სახსრების ნაშთის გამოყენების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 29 მარტის №53 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. განხორციელდეს ცვლილებები ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 29 მარტის №53 განკარგულებაში და პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის N55 განკარგულების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების თავისუფალი (აუთვისებელი) ნაშთის 39 745 ლარის ფარგლებში განსახორციელებელი საკანალიზაციო სისტემების მოწყობის ცალკეულ სამუშაოთა ნუსხა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) დაბა სურამში ყოფილი სანატორიუმ „სურამის“ დევნილთა დასახლების გარე საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები;

ბ) ქალაქ ხაშურში, 26 მაისის ქუჩაზე მდინარე შოლას ყოფილი კალაპოტის მონაკვეთის გაწმენდისა და ამ კალაპოტში დ-400მმ საკანალიზაციო პლასტმასის გოფირებული მილის ჩაწყობის სამუშაოები;

გ) ქალაქ ხაშურში, გაგარინის ქ. #74-ში განთავსებული ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის სარდაფში არსებული წყალ-კანალის სისტემის რეაბილიტაცია;

დ) ქალაქ ხაშურში, გაგარინის ქ. #84-ში განთავსებული ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის სარდაფში არსებული წყალ-კანალის სისტემის რეაბილიტაცია;“

2. განკარგულება შესასრულებლად გადაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე  
დავით ლომიძე

